ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 277 დეკემბერი 29, პარასკევი 1889 დეკემბერი 29, პარასკევი № 277


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ

въ 1890 году

**(СЕДЬМОЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ)**

будетъ выходить въ Тифлисѣ, какъ и въ прошлые годы, ежедневно, по программѣ газеты литературной, общественной и политической.

Съ 12-го ноября 1887 г. „Новое Обозрѣніе“ выходитъ двумя изданіями, изъ которыхъ *первое*, вечернее, предназначено для восточнаго Закавказья сдается на вечерній поѣздъ желѣзной дороги, а *второе*, утреннее,—для гор. Тифлиса, западнаго Закавказья и Россіи.

**Условія подписки**, съ пересылкою и доставкою: на годъ **10 р.**, полгода—**6 р.**, на три мѣсяца—**3 р. 50 к.**, на одинъ мѣсяцъ—**1 р. 50 к.** *За границу*, на годъ—**17 р.**, на полгода—9 р., а три мѣсяца—**5 р.** (Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа любого мѣсяца).

**За объявленія** изъ губерній и областей кавказскаго края взимается по 8 к. за строку петита на 4-й страницѣ и по 15 к. за такую-же строку на 1-й стр. За всѣ остальныя объявленія—по 10 к. за стр. петита на 4 стр. и по 15 к. за такую-же строку на 1 стр.

Объявленія изъ внѣ-кавказскихъ городовъ принимаются исключительно въ „Центральной конторѣ объявленій“, бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой улицѣ, въ д. Спиридонова.

Подписка и объявленія принимаются:

а) **ВЪ ТИФЛИСѢ**: въ конторѣ газеты, Головинскій проспектъ, домъ Читахова, № 12.

б) **ВЪ ОТДѢЛЕНІЯХЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ БАКУ—при аптекарскомъ магазинѣ И. Г. Чубинова**, на Михайловской улицѣ, домъ Мирза-Авакова и Карабегова.

2) **ВЪ КУТАИСѢ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе**, противъ бульвара, въ домѣ Г. Андроникова.

3) **ВЪ БАТУМѢ—при конторѣ М. С. Бетанова**, Набережная, домъ Ферадъ-Бега.

в) **У АГЕНТОВЪ КОНТОРЫ**:

1) **ВЪ Г. ШУШѢ—С. О. Ананьева**, на площади Топханэ.

2) **ВЪ Г. ГОРИ—Ир. И. Рамишвили.**

3) **ВЪ ЕЛИЗАВЕТПОЛѢ—Г. А. Альтгаузена**, при торговлѣ аптекарскими товарами.

Въ отдѣленіяхъ и у агентовъ подписка и объявленія принимаются **по редакціоннымъ цѣнамъ**, безъ всякой надбавки. Розничная продажа тоже производится безъ увеличенія платы, **по 5 коп.** за номеръ.

Иногородніе адресуютъ свои требованія: **Въ Тифлисъ, въ редакцію „Новаго Обозрѣнія“.**

Редакторъ **М. А. Успенскій.**
Издательница **О. А. Николадзе.**


ტფილისი, 28 დეკემბერი

ეს ოც-და-ათ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს ვენახებს ნაცარი ეწვია. საცა-კი ეს ჭირი მოედებოდა ვაზს, ყველგან თითქმის კაცს ხელს აღებინებდა მოსავალზედ. მართალია, ამ ჭირმა ერთად და ერთ ზომით მოდება არ იცოდა. იყო იმისთანა წელიწადები, როცა ხან ერთი მხარე ჩვენის ქვეყნისა გადურჩებოდა ხოლმე, ხან მეორე და ხანაც ერთსა და იმავე მხარეში ზოგან ძლიერი იყო, ზოგან ნაკლები. ერთს ჩვენის ქვეყნის ნაწილს, სახელდობრ, სამეგრელოს ისეთი ამბავი დააწია, რომ ვენახების პატრონებმა თითქმის ხელი აიღე's ვენახობაზედ და ვაზით ნაშენი ადგილები გაამინდვრეს. რა თქმა უნდა, ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში არავინ არააყოლა თვალი ამ დაუნდობელ ჭირს ვაზისას, არავინ არ გამოიძია არც მისი მიზეზი, არც ვითარება.

ნუ თუ, მაგალითებრ, თვალყურ სადევნებელი არ იყო თუნდ ის ამბავი, რომ, ვსთქვათ, ერთს წელიწადს კახეთი ჰფუჭდებოდა ნაცრისაგან, მეორე წელიწადს ქართლი, ხან ერთსა და მეორეშიაც ჰსუსტდებოდა ნაცარი და ძლიერდებოდა იმერეთში? ან თუნდ ის ამბავი, რომ ერთსა და იმავე ადგილას ზოგი ვენახი სულ გადარჩებოდა ხოლმე და ზოგი-კი იჩაგრებოდა და ჰფუჭდებოდა? უყოფილა იმისთანა მაგალითებიც, რომ ერთსა და იმავე ვენახში ერთს წელიწადს ერთი რომელიმე ჭურა წახდებოდა ხოლმე ნაცრისაგან და მეორე-კი საღი იყო, ან კიდევ წინად გადარჩენილი მეორე წელიწადს ჰფუჭდებოდა.

უეჭველია, გულ-მოდგინე თვალი და საღი გონება, რომელსაც ნაცრის მოვლენა ღვთის წყრომისაგან მოვლინებული არა ჰგონია და მიაჩნია მარტო ბუნებურ მიზეზთაგან გაჩენილად, აქ, ამისთანა მაგალითებში ბევრს რასმე შეჰნიშნავდა, ბევრს იმისთანას რასმე თვალს მოასწრობდა, ბევრს იმისთანას დაინახავდა, რომელთა კრებულიც შეადგენს მიზეზს აგრე ჭრელ-ჭრელად, შიგა და შიგ და დრო-გამოშვებით ხან გახშირებას და გაძლიერებას ნაცრისას ერთს რომელსამე მხარეში, ხან დაკლებას და დასუსტებას. ამ შემთხვევაში მართალის მიზეზის პოვნა თითქმის ხიდის პოვნაა თავის დასახსნელი და გადასარჩენი. ეხლა ისე გამოდის, რომ ეს ნაცარი მთელი ოც-და-ათი წელიწადი ხელიდამ ცხოვრების სახსარსა და ღონეს გვაცლის და ამ ოც-და-ათ წელიწადს შემდეგ ამ სენის ვითარება იმოდენადვე ვიცით თითქმის, რაც ოც-და-ათის წლის წინად ვიცოდით. გამოდის, რომ ამდენმა ხანმა, რომლის განმავლობაში უთვალავი სიმდიდრე და ღონე წაგვერთვა, სულ უქმად და ამაოდ ჩაიარა ჩვენთვის ასე, რომ ერთის იოტის ოდენა ჭკუაც არ გვასწავლა როგორ მოვუაროთ ჩვენს თავსა და რა წამალი დავსდოთ. საკვირველია! ამოდენა ხალხში ერთი იმისთანა კაცი როგორ არ გამოგვიჩნდა, რომ თავის თავად დაჰკვირვებოდა ამ სენსა და აქაურ ბუნების მიხედვით მისი ვითარება თვითონაც ცოტად თუ ბევრად გაეგო და სხვებისათვისაც გაეგებინებინა!..

ჩვენში არამც თუ გამოჩნდა ვინმე თავის-თავად გამომძიებელი, იმისთანაც თითქმის არავინ გამოვიდა, თითო-ოროლას გარდა, რომ სხვის დანახული ამ შემთხვევაში, სხვის ნაცადი და ნაჭირნახულევი ეცნო, შეეთვისებინა და ცნობილი და შეთვისებული გამოეყენა თავის სარგოდ და სხვების სამაგალითოდ.

ეს რა არის კიდევ! თავისით თვალის ადევნება, თავისით გამოძიება, ან სხვის გამონაძიების შეთვისება ცოტად, თუ ბევრად გამჭრიახობას ჰთხოულობს, ცოტად თუ ბევრად რთულს გარჯასა და შრომას და ამიტომაც ამ შემთხვევაში სხვისათვის მიუტევებელი უქმად ყოფნა ჩვენს მიძინებულს გონებას და დამბლა-დაცემულს ხალისს ასე თუ ისე შეეწყნარება, თუმცა ცოდვის დავთარში-კი მაინც ცოდვად დაეწერება სხვილის ასოებით.

ვაი ის არის, რომ ურთულ და ადვილად მოსავლელ საქმეშიაც იგივ უღონობა, უთაურობა, უქმად ყოფნა გამოვიჩინეთ. იფიქრეთ: აბა კალია რა არის, იმასაცკი ჭიდილი ვერ შევუბედეთ. ჩვენ ვამბობთ ვენახების კალიის გამო. ამ ოც-და-ათის წლის განმავლობაში ეს ბატონი კალია არა-ერთხელ სწვევია ჩვენს ვენახებსა და გადუკორტნია ვაზის კვირტი. კახეთმა კარგად იცის ეს პატარა სულიერი რამოდენა წანახედს, რამოდენა ზარალს იძლევა. ერთმა კაცმაც ხელი არ გაანძრია, თითი არ შეატოკა, რომ ეს პატარა მწერი თავიდამ მოიშოროს. ამაზე ადვილი რა არის? თვალი ადევნე სადა სდებს კვერცხს, ამოიღე და დასწვი. ამით თუ სულ არ გაიქლიტა, ბევრის ბევრად გაწყდება მაინც. რასაკვირველია, ამას ერთისა და ორის კაცის ღონე არ გასწვდება, ამას ერთიანი გარჯა უნდა, მთელის სოფლობის ღონე და ჯაფა. საყოველთაო ჭირია და საყოველთაოდ ჰთხოულობს გამკლავებასა და შეჭიდებას. თქვენგან არ გვიკვირს: სად ქართველი კაცი და სად ერთიანი გარჯა! სად ქართველი კაცი და სად საყოველთაო საქმისათვის ერთად, კრებულად თავის მოყრა და ერთად უღლის წევა! კალიამაც-კი გვაჯობა, კალიამაც! ასე იცის წყეულმა დაქსაქსულობამ, ასე იცის ერთმანეთის მიუკარებლობამ და გაუტანებლობამ, ასე იცის იმ საყოველთაო

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

*კარგი ვსვათ და კარგი ვჭამოთ.—დაობლებული შვლის ნუკრი.—გზადაბნეულნი ცხოვარნი.—დაწუნებული რუსთაველი.*

ღვთისა და თქვენის წყალობით, ჩემო კარგო მკითხველო, პატრონს ჩავაბარეთ ძველი წელიწადი და ვართ დიდს სამზადისში, რომ ორშაბათს მამლი-ყივილისას „ძველებურადა, ჩვენებურადა“, გოზინაყით, ჩურჩხელა-ლეღვიჩირით დავხვდეთ ახალს წელიწადს. ამ დღეს, როგორც მოგეხსენებათ, ყოველი ჩვენი თანამემამულე ისეთს ბედნიერ გუნებაზე იქნება, რომ „დალიე-დამალევინეს“ მეტს ვერას ათქმევინებს თავის ენასა და ვერც არას შეასმენს თავის ყურს. რამდენი ხმა ჩაიჩრინწება „მრავალ ჟამიერითა“ და სუფრულით:

წუთი-სოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება;
კარგი ვსვათ და კარგი ვჭამოთ,
ამის მეტი რა შაგვრჩება! ჯააარუნეე!..

ჰო-და, აბა ამისთანა დროს გამობძანდი მოედანზე შენის გაზეთითა და მოჰყევი სხვა-და-სხვა ანგარიშებს მასზედ, თუ როგორი იყო წარსული წელი და რას უნდა შევნატროდეთ ახალს წელსაო.

ამიტომ ვესწრაფებით, რომ ეხლავე გავწმინდოთ ძველი ანგარიშები, მოვრჩეთ ჩვენს სათქმელს, რომ უფრო გულიანად მივცეთ თავი ჩვენი დავიწყებას. თორემ მერე, როდესაც ისევ გონს მოვალთ, გავინთავისუფლებთ თავს ნუნუის ბულისაგან, ერთის სიტყვით, როდესაც გამოვფხიზლდებით, მაშინ ახალწელი იმდენს თავ-სატეხ ვარამს გადაგვიშლის თვალწინ, რომ იმასაც ვეღარ აუვიდეთ, არა თუ ამ წლის ავ-კარგიანობის აწონ-დაწონვას ვათხოვოთ დრო.

ისეთი თვისება რომ ჰქონდეს ძველ წელიწადს, რომ მოგვშორდებოდეს თუ არა თავიდამ, თან მიჰქონდეს ყოველი უბედურება, რომელიც-კი იმან მიაყენა ადამიანსა თუ მთელს ქვეყანას, მოგეცათ სიცოცხლე, კარგი იქნებოდა. მაშინ ჩვენ თითონ ხელს შევუწყობდით, რომ მალე მოგვშორებოდა. მოვუქარგავდით ჩინებულ ბოლჩას, დასტა-დასტა ჩავულაგებდით უბედურებას-უბედურებაზე, სიმწარეს, ვარამს, შხამსა და გესლს, წამოვკიდებდით ზურგზე და ჯანდაბამდის დავულოცავდით გზას, რომ უკან აღარ მოეხედნა. მაშინ ჩვენც როგორმე იოლას წავიდოდით. „გარდასრულთა ჭირთა ხსოვნას“ აღარ მივცემდით ადგილს და კრიჭაში ჩავუდგებოდით ახალ წელს, რომ მწუხარების ბოლჩა არ დაებღერტნა ჩვენთვის თავზე. მაგრამ ძნელი ის არის, რომ ჯერ ვერ ვასწავლეთ ძველ წელიწადებს ამისთანა საქებური ჭკუა, ვერ დავაყენეთ ამისთანა გზაზე. დაძველდება წელიწადი, აჰკინძავს ყოველს ჩვენს სიამესა და სიხარულს, შეჰკრავს მათგან ჩინებულს მძივსა, გაიკეთებს ყელზედ მაგრა და მიძუნძულებს უფსკრულისაკენ, რა არის კაცმა ნაკლები ნეტარება ნახოს ამ უგემურს ცხოვრებაშიო. ხოლო რაც-კი ცუდი რამ მოგვაველინა, იმას ერთიან აქვე დაგვაბერტყებს თავზე—ჯანიმც გაგვარდნიათ, როგორც გინდათ, ისე მოინელეთ ჩემ მიერ შეხანხლული გოზინაყი სიმწარისა, ვაებისა, ცრემლისა და ტანჯვისაო. მე ხომ თქვენთან საქმე აღარ მექნება. გახსომდეთ მაინც ჩემი თავიო. ამ დროებაში ხომ სიკეთეს ბაზარი არა აქვსო. კარგი რომ მეთესნა და კარგი მემკო, ეხლანდელის კაცის ხარბ თვალს მაინც ვერ გავაძღობდიო. გინდაც მომეხერხებინა და სიკეთით ამევსუყებინა თქვენთვის გული, მაინც მოგაშორებდით თუ არა თვალსა, მაშინვე დამივიწყებდით, მადლიერი არავინ მეყოლებოდა, ჩემი ხსოვნა იმავ წუთს და სამუდამოდ გაჰქრებოდა კაცის უმადურ გულშიო. მწუხარება-კი ისეთი მწარე ხილია, რომლის გემოს პირიდამ ვერ ამოირეცხავთ, „გინდაც რომ ჰხეხოთ ქვიშითაო“, ტანჯვის მიერ დარტყმული დაღი თავის დღეში არ აგივათ შუბლიდამაო და ყველანი მოიგონებენ, რომ ამა-და-ამ წელმა დააჭდია ეგ დაღიო. ლოცვით თუ არა, წყევლით ხომ მომიგონებს კაცი, რომელსაც მე ციბრუტივით ვათამაშებდი მთელი სამას სამოცდა ხუთი და ხან მეტი დღესაო.

**

ასეთი ზნე ძველის წელიწადისა სამძიმოა მეტადრე პატარ-პატარა ხალხთათვის. გინდაც მოვლენილი ჭირი მაგოდენს არას შეადგენდეს და სათამაშო ამბად მიიჩნიოს რომელმამე დიდმა და ძრიელმა ერმა, პატარა ხალხთათვის შეიძლება მეტად დამაღონებელი და დამაძმარებელი შეიქმნეს. ნათქვამია—რწყილს ერთი შაშარი ჰკრეს, ჭირადაც ეყო, ლხინადაცაო. როგორც ბ. ნ. ვაჟა-ფშაველას დაობლებული შვლის ნუკრი შიშისაგანა თრთის, გინდაც წვიმის შრიალი შემოესმას გამხმარ ფოთლებისა, აგრეთვე პატარა ერს ცახცახი აუტყდება ხოლმე, გინდაც საკუთარს აჩრდილს მოჰკრას უცებ თვალი. წარმოიდგინეთ მაგალითად, რომ ჩვენს თანამემამულეს არ ეპიტნავება იტალიელი საერთოდ, წარმოიდგინეთ, რომ ბედმა ამ კაცს არგუნა იტალიაში ყოფნა. იგი მხატვარია. რამდენი იტალიელიც მიჰმართავს — დამხატეო, ყველას ბრიყვულად ეკიდება ლაპარაკში და სურათზედაც ყველანი განზრახ ცუდად გამოჰყავს, რომ ამით აშკარად დაანახვოს თავისი გრძნობა მათ მიმართ. შედეგი ასეთის საქციელისა ის იქნება, რომ იტალიელებს სასაცილოდ არ ეყოფათ ჩვენი მხატვარი, იმასთან ერთიც აღარ მივა სურათის გადასაღებად. ჩვენი თანამემამულე ულუკმა-პუროდ დარჩება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობის არ ქონვამ, რომელიც საგრებულო არსებას უნდა ჰქონდეს აზარმაცსავით, რომ ამ წუთი-სოფლის საპალნე ადვილად ასწიოს და ჰზიდოს.

ყოველ ამ ჭირს, რომელიც თვითონ თითქმის ხელში გვეძლევა,—აჰა, მიცანით, გაისარჯენით და თავიდამ მომიშორეთო, რომ ვერა გავუგეთ-რა და ამიტომაც ვერა დავაკელით-რა, ბევრს სხვა ახლად აჩენილს უარესს ჭირს ვაზისას რაღას დავაკლებთ. ვაზს ამ ბოლოს ხანებში იმდენი სხვა ახალი ჭირი ზედ დაატყდა, რომ კაცს უნებლიედ ჰგონია—ხომ არ მოვიდა აღსასრულის დღე ვაზისაო. ამისთანა დღე ბევრს მცენარეს, ბევრს პირუტყვს დასდგომია და მთელი გვარეულობა სულ მთლად განადგურებულა და ამოწყვეტილა, რადგანაც ბუნებური გარემოება ქვეყნიერობისა ისე შეიცვალა, რომ ამოწყვეტილთა არსებობა შეუძლებელი-ღა გახდა. მართალია, კაცობრიობა სცდილობს ყოველ ამ ახალ ჭირს ბუნება შეუტყოს და იმის კვალობაზედ უწამლოს დასნეულებულს ვაზს, მაგრამ აქაც ჩვენ ყურს არ ვიბერტყავთ და ვიძახით: როგორც მოვიდა თავის თავად, ისეც თავის თავად წავაო. ნაცრისა და გალის გარდა, ობი, მილდიუ, ქანგი, ფილოქსერა და სხვა ბევრი ჭია-ღუა მიესია ვაზს და ჰლამის ბოლო მოუღოს. წარმოუდგენელია რა სიდიდე უბედურება დაგვატყდება თავს, თუ მართლა ჩვენს ქვეყანაში ამოწყდება ვაზი. მართალია, ჯერ ამაზედ, ღვთის მადლით, შორსა ვართ, მაგრამ ჩვენის უთაურობის ამბავი რომ ვიცით, ამ სიშორესაც შევიმოკლებთ. რომ არას დავდევთ და ყველაფერი ღვთის ანაბრობაზედ მიგვიგდია, მაშ რა კეთილი დაგვეყრება?

კიდევ კარგია, ზოგიერთი მეცნიერი და სახელ-განთქმული სწავლული იმედს იძლევა. მაგალითებრ, არის ერთი მეცნიერი და სწავლული კაცი სახელად მასკარტი. ამ მასკარტს ეხლა-ხან უცნობებია პარიჟის აკადემიისათვის მეტად საყურადღებო ამბავი. მასკარტის სიტყვით, სწავლულს რენუ-ს რამდენისამე წლის განმავალობაში თვალი უდევნებია პარიჟის სითბო-სიცივეებისათვის, ანუ, უკეთ ვსთქვათ, ტემპერატურის მეტ-ნაკლებობისათვის და შეუნიშნავს, რომ ამ უკანასკნელს ათს წელიწადში ორთაშუა ტემპერატურას პარიჟისას დაუკლია, ესე იგი, უფრო აცივებულა და ორმოც წელიწადის განმავლობაში ძალიან ცივი ზამთრები ხუთ-ხუთ და ექვს-ექვს წლობით ერთმანეთს ზედ მოჰყოლია. ამ სითბოს დაკლებას და სიცივის მომატებას დიდი ზედ-მოქმედება ჰქონია პირუტყვსა და მცენარეობაზე. ამ გარემოებას აბრალებენ თვით ვაზის ჭირთა მოვლენასაც და გახშირებას, რადგანაც ბევრმა სენმა ვაზისამ თავი იჩინა 1879 წლიდამ და თანდათან ძლიერდება და ჰმატულობს მას აქეთ. ხოლო მასკარტი იმ ნუგეშს იძლევა, რომ მომავალ წლიდამ მთელის ათის წლის განმავლობაში ისევ თბილი წელიწადები მოჰყვება ზედი-ზედა განუწყვეტლივ ასე, რომ სითბოს მეტ-ნაკლებობაში ბევრი თაბაუთი არ იქნებაო.

თუ მართლა ვაზის ჭირი აცივების ბრალია და თუ მასკარტის სიტყვა გამართლდა, უნდა ვიფიქროთ, რომ ვაზიც გამომჯობინდება და უწინდელს მოსავლის ძლევას თუ არ დაიწყებს, ეხლანდელს ზარალს ხომ მაინც ცოტად თუ ბევრად აგვაცილებს. ესეც კარგი ნუგეშია, რაკი ჩვენს ბედსა და უთაურობას ისე განუგია, რომ ჩვენ თვითონ თითიც არ უნდა გავანძრიოთ და ყველაფერი ცის ანაბარად უნდა დავანარჩუნოთ. ეჭვიც კია: იქნება ყოველივე ეს გამართლდეს საფრანგეთისათვის და ჩვენთვის-კი არა, რადგანაც ბუნება ჩვენის ქვეყნისა სხვაა და საფრანგეთისა სხვა. იქ შეიძლება ერთი მიზეზი იყოს და აქ მეორე. ჩვენებურ მიზეზის გამოძიებისათვის ხომ თავს არავინ შეიტკიებს, მაშ ვუცადოთ, ჩვენი ბრმა ბედი რას მოგვიტანს საგულავოდ.

## ახალი ამბავი

*** „მასწავლებელთა და აღმზრდელთა ქალთა საზოგადოება“ ხვალ, შაბათს, დილის თორმეტს საათზედ, გამართავს ყმაწვილებისათვის წარმოდგენას ზანკის თეატრში. სხვათა შორის წარმოდგენილი იქნება საყმაწვილო ოპერა „Квартетъ“-ი და კრილოვის სხვა-და-სხვა იგავი.

*** თავმჯდომარე „თავად-აზნაურთა საზოგადოების ქალთა განყოფილების კომიტეტისა“ კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან ორბელიანისა გვთხოვს ჩვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა განუცხადოთ ქ-ნს ეკატერინე გრიგოლის ასულს ფურცელაძისას და მის დამხმარეთ: სოფრომ მგალობლიშვილსა და სოლომონ ლაშაურს, რომელთაც გამართეს გორში წარმოდგენა მომავალის დედათა სკოლის სასარგებლოდ და შემოსავალი სამოც-და-შვიდი მანეთი საზოგადოებას გამოუგზავნეს. აგრეთვე გულითადს მადლობას უცხადებს იმავე კომიტეტის თავმჯდომარე კნიაჟნა ნინო სიმონის ასულს ანდრონიკაშვილისას და მის დამხმარეთ, რომელმაც სიღნაღში გამართა ამავე აზრით წარმოდგენა და შემოსავალი სამოც-და-თხუთმეტი მანეთი უკვე გამოუგზავნა საზოგადოებას.

*** ჩვენის ქვეყნის ერთის მიყარდნილის კუთხიდგან გვწერენ, რომ აქაური მომრიგებელი მოსამართლე მეტად ადრე სპობს საქმეებს იმ შემთხვევაში, როცა მთხოვნელნი მომჩივანნი იგვიანებენ დილით სასამართლოში მისვლითაო. საქმე იმაშია, რომ წინა დღით მოსვლა ამ ქალაქში ძნელია, რადგან შიგ სადგომები არ არის ღამის გასათევლად, ხოლო დილით ვერ ასწრობს ხალხი 10—11 საათზედ ადრე მოსვლას, რადგან მაზრა დიდია. მიდიან 10—11 საათზედ, მაგრამ ეუბნებიან, რომ გვიან არის, თქვენი საქმე უკვე მოისპოვო.

*** დ. ზესტაფონი: ძლიერ სასიამოვნო იქნება, რომ ბ-ნ რატილის ხორო ერთ კონცერტს მაინც გაჰმართავდეს ჩვენს დაბაშიაც. იმედია, ჩვენი უმადურნი არ წავლენ აქედამ.

*** გაზეთს „მწყემსში“ დაბეჭდილია რამდენიმე ცნობა ტფილისის სემინარიის წლიურ ანგარიშიდამ. მოგვყავს ეს ცნობანი შემოკლებით: წელს შესრულდა სამოც-და-ცამეტი წელიწადი ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიის დაარსებიდგან. ამ საანგარიშო წელში სემინარიაში მოხდა შემდეგი ცვლილებანი. რექტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი პაისი, თავისის თხოვნით დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან და იმის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა რექტორად მოგილევის სემინარიის რექტორი მამა არქიმანდრიტი ნიკოლოზი. ნაცვლად გადაყვანილ მასწავლებელთა დაინიშნენ ახალი მასწავლებლები. სემინარიის ექიმს ბ-ნს მიშკინს დაედო ვალად კლასებში ასწავლოს ექიმობის საგანი. სემინარიაში მოსწავლეთა რიცხვი, გარდა თორმეტის მოწაფისა, რომელნიც, თანახმად თავიანთ თხოვნისა, გავიდნენ სემინარიიდამ, და ხუთის მოწაფისა, რომელნიც გარდაიცვალნენ, არის 447. ამათში მეექვსე კლასში არის 38 კაცი, მეხუთეში—55; მეოთხეში, რომელსაც ორი განყოფილება აქვს,—63, მესამე კლასის ორ განყოფილებაში—75, მეორე კლასის ორს განყოფილებაში—108 და პირველ კლასის ორ განყოფილებაშიაც—108. ამ 447 მოწაფეში ქართლ-კახელი არის 151 კაცი, იმერელი—144, გურულები (?)—59, მინგრელები (?)—35, რუსები—30, ბერძნები—14, ოსები—5, დანარჩენი არიან ჩეჩნები, უდინები, აფხაზები და სხვანი. წოდებისა დაგვარად სემინარიის მოწაფენი განიყოფებიან: გლეხის შვილები არიან—47, აზნაურებისა—13, მოქალაქებისა—11 მაძიებელ აზნაურებისა—7, დანარჩენი მოწაფენი არიან საეკკლესიო-სამღვდელო მოსამსახურეთა შვილები. სემინარიასთან არსებობენ ფუნდამენტალური და მოსწავლეთა წიგნთ-საცავები, რომლებშიაც ირიცხება 9000 სხვა-და-სხვა წოდების წიგნები. ეგზამენებს შემდეგ, რომელიც მოხდა მაისში და იენისში ამა წლისა, 28 მოწაფემ დაამთავრა სწავლა სემინარიაში. 244 გადაყვანილ იქმნენ შემდეგს კლასებში. აგვისტოში განმეორებითი ეგზამენები დაიჭირა 70 მოწაფემ, დარჩნენ მეორე წელს იმავე კლასებში 35 კაცი, დათხოვნილ იქმნენ 13. მოსწავლეთა შესანახავად სემინარიის სამმართველოს ეძლევა ფულები: ა) ადგილობით საეკკლესიო ხაზინებიდგან უწმინდესი სინოდის ხარჯთა აღრიცხვის (смѣта) თანახმად; ჯარის სამღვდელოების უწყებისაგან შესანახავად ამ სამღვდელოების შვილებისა რომელნიც ამ სემინარიაში სწავლობენ; ბ) კავკასიაში მართლ-მადიდებელის სარწმუნოების გამავრცელებელ საზოგადოებისაგან; გ) კერძო კეთილ შემომწირველთაგან, საუკუნოდ მოსახსენებელთ მაღალ ყოვლად უსამღვდელოესთა მიტროპოლიტთა იონა და იოანნიკესაგან, საქართველოს ეგზარხოსად ყოფილთ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსისაგან და სხვა კერძო შემომწირველთაგან.

*** 27 დეკემბერს პოლიციის მეათე ნაწილში, ავთაიქის ვიწრო ქუჩაზე, ვეტცელის სახლის შესავალ კარებთან იპოვეს თთვე ნახევრის დაბადებული ბავშვი. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 28 დეკემბერს მეექვსე ნაწილის ბოქაულმა გლეხოვმა შეიპყრო მღვდლის შვილი ზაქარია გიორგაძე. გიორგაძე ქუთაისის სასამართლოს გადაწყვეტილებით გაგზავნილი იყო ირკუტსკის გუბერნიაში, მაგრამ 1887 წლის დამლევს გამოიქცა იქიდგან.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

გორი, 27 დეკემბერი. დადგა ზამთარი, იმატა ღამეებმა და გაჩნდა სხვა-და-სხვა გასართობი, ზოგი დროს მოსაკლელი, ზოგიც სულისა და გულის ზე-აღმაფრენი, სულისა და გულის დამატკბობელი. ამისთანა ზე-აღმაფრენი, ამისთანა სულისა და გულის დამატკბობელი გასართობი იყო გორელ ქართველებისათვის კონცერ-

---

ყველასაგან მასხარად აგდებულმა უნდა აჩანჩალოს დღენი თვისნი. აშკარაა, რომ ამით იგი აზარალებს მარტო თავის თავს და იტალიელები-კი ისეთს გუნებაზე იქნებიან, თითქო ბუზსაც არ გაუჩმუჩნია მათს ახლოვო.

მაგრამ აბა ამისთანა ამბავი მომხდარიყო ირლანდიაში და ასეთი გრძნობა გამოეჩინა ინგლისელ მხატვარს ირლანდიელთა მიმართ. თქმა არ უნდა, რომ ამ შემთხვევაში ირლანდიელები შორს იქნებოდნენ სიცილისა და მხიარულებისაგან. ერთი ჩოჩქოლი, უკმაყოფილება, აურზაური ასტყდებოდა. მთელს ქვეყანას შესჩივლებდა ირლანდია ამ ამბავს, ამოიბუებდა მხატვარს, შემოუვლიდა გარს „ბოიკოტობის“ ლობეს, რომ არც ერთს ირლანდიელს მასთან არა ჰქონოდა არავითარი კავშირი, არავითარი მისვლა-მოსვლა, არ გაეცა მისთვის ხმა, არ მიემართა იმის ხელობისათვის. თუ ამითიც ვერას გახდებოდა, მაშინ ამერიკაში შეუთვლიდა ფენიების დასს, რომ ერთი-ორი თავიდამ ხელ-აღებული ფენია გამოეგზავნა და თავიდამ მოეშორებინა უსიამოვნო კაცი ირლანდიისათვის. ამ ამბავს ირლანდია ჩასწერავდა თავის ისტორიაში, რომ საშვილი-შვილოდ ყოფილიყო ცნობილი ყველასთვის როგორც სახელი მხატვრისა, აგრეთვე თვით ის შავი წელიწადი, რომელმაც ამ გვარი საჩუქარი მიართვა ირლანდიას.

ახლა თუ უფრო შორს წავალთ და უფრო პატარა ხალხს ავიღებთ, ისეთს ხალხს, რომელშიაც დაკარგულია ურთიერთ შორის მტკიცე ეროვნული კავშირი და რომელიც ერთობ აუტანია შიშსა და კრძალვას არსებობისას, იქ ამ გვარი მხატვარი სწორედ ისეთივე საშინელი გმირი იქნება, როგორც ერთს დროს იყვნენ ატილლა, ნაპოლეონი, ჩინგისხანი, თემურლენგი და სხვანი. ვინც ამ მხატვარს წელიც ვერ აეწიოს რიგიანად, პატარა ხალხის თვალში იგი იქნებოდა გაავთრებული ვეფხვი, რომელიც აღარას დაინდობს და მუსრს გაავლებს ყველას, რაც-კი არ მოერიდება გზიდამ, არ დაიმალება, არ მიინაბება სადმე მიუვალ ადგილას. ცოტა ხანს უკან თვით მხატვარიც ასე გაზვიადებულს აზრს შეადგენდა თავის ვინაობაზე, დიდი ვინმე ეგონებოდა თავისი ერთი ბეწო თავი და უფრო მომეტებულს ეცდებოდა, რომ თავ-ზარი დაეცა გამვლელ-გამომვლელთათვის...

თუ წარმოიდგენთ, რომ დანარჩენი მხატვრებიც ასეთს მადაზედ მოვიდოდნენ, ახლა იმათს ფეხის ხმას აჰყვებოდნენ ყველა სხვა ხელობის კაცნი, თუ ეს სენი დაერეოდა განურჩევლად ქალსა და კაცს, გადაედებოდა მწერალს, ექიმს, მხედარს, მოხელეს, მღვდელსა და ბერს,—მაშინ დამეთანხმებით, რომ სიცოცხლე მთელის ერისა, სადაც ამისთანა სენმა იჩინა თავი, ტყემლის ჩირადაც აღარ ეღირებოდა...

ამისთანა ყოფას მოგახსენებენ წელს კრიტის კუნძულზედ. და აბა თქვენ თითონა ბრძანეთ, რამდენად ბედნიერნი უნდა ვიყვნეთ ჩვენ, რომ ეს წელიწადი ისე გათავდა, რომ დღემდე მხოლოდ ერთი ამბავი ვიცით გაზეთიდამ, ვითომც სადღაც რკინისგზის სადგურზე ერთი ექიმი თავის წამლობაში იმითი ხელმძღვანელობდეს, თუ რომელ ერის ჩამომავლობისაა ავადმყოფი—თუ ქართველია, უგულოდა ჰკიდებს ხელს თავის მოვალეობას, თუ სხვაა ვინმე და მაშინ თითონ იცის ექიმობისა... იქნება ტყუილიც იყოს ეს ამბავი და მაშინ ხომ ჩვენს ბედნიერებას საზღვარი არ ექნება.

**

მაგრამ თუ ამ მხრივ ლაქას ვერავინ მოსცხებს ამ წელს, რადგან ერთი ექიმი საცა უნდა იყოს ამოდენა ხალხში, როგორიც უნდა იყოს, როდესაც დანარჩენი მოხელენი დღე და ღამ მარტო იმის ფიქრში არიან, რომ შეძლებისამებრ სინიდისიერად ემსახურონ ხალხს და ნამუსიანად აასრულონ თავიანთი მოვალეობა წინაშე ერისა და კანონისა,—ჰო, თუ ამ მხრივ არა ეძრახების რა მიწურულს წელს, ვერ ვიტყვით, რომ სხვა ბრალი არა მიუძღოდეს-რა წინაშე ქართველის ხალხისა.

ჯერ ისევ შარშან გაძლიერდა ბაასი იმაზედ, თუ ვინ არიან ქართველნიო. შემდეგ ხანგრძლივის თავის-ტეხისა, კალმების წრიპინისა, გამოირკვა ყოვლად სამეცნიერო აზრი, რომ ქართველი ხალხი რაღაც ფიქციაა, ოცნებაა, რომ იგი არც არის, არცა ყოფილა და ამიტომ არც როდისმე ეღირსება ყოფნა. მეცნიერთა გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კავკასიაში არის ქართლელი, იმერელი, კახელი, ქიზიყელი კამბეჩოვანშირიდამ, თუში, ფშავი, ხევსური, მეგრელი, გურული, სვანი, რაჭველი და კიდევ სხვა ვიღაც-ვიღაცეები, მხოლოდ რაც შეეხება ქართველს, ამისთანა არსება მხოლოდ პოეტების გახურებულ ტვინის მოჩვენებაა და მეტი არაფერიო. ამაზედ დამყარდა მეცნიერთა აზრი, ამაზედ მოისვენა მკვლევართა ძიებამ, აქ გათავდა ჭეშმარიტების ასკინკილა. ჩვენც მოვისვენეთ, ჯანიმც გაგვეარდნიათ, ოღონდ გაჩუმდით და დეე, ნუღარ დაგვიძახებთ ქართველებსაო. გათავდა შარშანდელი წელიწადი. მრავალდ გიახელით ოსტატურად გაკეთებული გოზინაყი, საკმაოდ ბევრი ნუნუა ვიგემეთ და ხელად გამხიარულდით, სულ დაგვავიწყდა შარშანდელი წყენა, რადგან ნამეტანი გულ-მავიწყი ხალხი გახლავართ. მაგრამ გაწყრა ბედი და წელს ხელ მეორედ მიუბრუნდნენ იმავ სამეცნიერო საგანს. მეცნიერთა საზოგადო კრებებზე, მეცნიერთა მოხსენებაში, სასწავლებლებში ყველგან გულგასაწვრილებლად სულ ის გეტაკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი, გამართული „ქართულის ხოროს ამხანაგობისაგან“ ი. ი. რატილის ლოტბარობითა 26 ამ თთვისას გორის „სობრანიის“ დარბაზში. სასიამოვნო იყო, მაგრამ დრო ვერ იყო შერჩეული, რომ უფრო მომეტებული ხალხი დასწრებიყო ამ კონცერტს. კვლავ ჩვეულებრივად გორის კლუბის დარბაზში 25 ქრისტეშობისთვეს მუდამ საცეკვაო სალამო ყოფილა, წელს-კი არ იყო, და ეს რომ გვცოდნოდა, მაშინ ამ დღეს დაინიშნებოდა კონცერტი და იქნება მეტი ხალხი დასწრებოდა. ხალხი სულ ამას ამბობდა: „ამაღამ გასართობი არა გვაქვს-რა, 26 კონცერტის გამართვას ამაღამ გაემართნათო, არ ვიცით ამაღამ სად წავიდეთო. დღეს-კი 26 სამხედრო კლუბში საცეკვაო სალამოა და აქ, კონცერტში ვილა წამოვაო“. მაგრამ ყველა ეს განგებ იყო ნათქვამი, ისე რაღა, თავის გასამართლებლად, თორემ ნათქვამია: თუ გული გულობს, ქადა ორის ხელით იჭმევაო,—თუ საქმისა და კონცერტის სურვილი და სიყვარული ჰქონდა ვისმეს, საცეკვაო სალამოს, რომელიც ყოველ კვირა, თუ არა ვცდებით, ორჯელ-სამჯერ არის ხოლმე, რის გამოც დაქანცულნი და სინსილა-გამოცლილნი არიან ჩვენი დამა-კავალერნი, დიაღ, საცეკვაო სალამოს თავს დაანებებდნენ და წავიდოდნენ კონცერტის მოსასმენად, სადაც გაიგონებდნენ ქართულს ხმებს, რომელიც დღევანდლამდე მივიწყებული იყო და დღეს-კი, ბ-ნ რატილის მეცადინეობითა და ღვაწლით, მკვდრეთით აღსდგა და აღსდგება კიდეც.

ყველა ქართველი, ვინც-კი ამ ჟამად გორში იმყოფება და ვისაც «ინფლუენციამ» და ზედ მოდებულმა ფილტვების ანთებამ არ დაუმალა ყველანი, განურჩევლად წოდებისა, იყვნენ კონცერტზედ. კონცერტმა ჩინებულად ჩაიარა და მღეროდნენ ჩინებულად, მწყობრად, ხმა-შეწყობილად. ყველა სასიმღერო, გარდა ორისა: „უკვე მიხმობს“ (მუსიკა შუბერტისა) „კაცმა კაცის სიკარგ-კაცე“, ფერხული ოპერიდამ „სნეგუროჩკა“ (მუსიკა ჩაიკოვსკისა), საუცხოოდ შეასრულეს. სიმღერები რამდენჯერმე გაამეორებინეს. დარბაზში გაისმოდა დაუცხრომელი «ვაშა-ვაშას» და „ბარაქალას“ ძახილი. პროგრამის გარეშე რამდენიმე სხვა სიმღერაც ათქმევინეს. ქართველმა საზოგადოებამ დიდის აღტაცებით, სიყვარულითა და პატივისცემით მიიღო ამხანაგობა ხოროსი და იმათი მოთავე-ლოტბარი, პატივცემული არტისტი რატილი.

როდესაც ბ-ნმა რატილმა გაათავა თავის როლი პირველ განყოფილებაში, ე. ი. როდესაც იმან საუცხოვოდ შეასრულა „ორთავ თვალის სინათლევ“, მაშინ ქართველმა საზოგადოებამ მიართვა ბ-ნს რატილს ვერცხლის პატარა ტაბაკი ვერცხლისავე სტაქნით. ტაბაკის გულზედ ეწერა: „ნიშნად გულითადის პატივისცემისა ბ-ნ რატილს გორელ ქართველ ახალგაზდობისაგან. 1889 წელს 26 დეკემბერს“. ქართველმა საზოგადოებამ ეს საჩუქარი მიართვა თავისის პატივისცემითა და სიყვარულით დამსახურებულ კაცის ხელით. ეს იყო ბ-ნი მკურნალი ი. გ. სააკოვი, რომელმაც მირთმევის დროს ორიოდე სიტყვა უთხრა: „თქვენის შრომისა და ღვაწლის დასაფასებლად, რომელსაც არა ჰზოგავთ ქართულის სიმღერების აღსადგენად და ნოტებზედ დასაწყობად, მცირედი ძღვენი მოგიძღვნათ პატარა საზოგადოებამაო“. სიამოვნებასა და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. პირველ განყოფილების გათავების შემდეგ ახალგაზდანი შეივიდნენ ბ-ნს რატილთან და გულითადი მადლობა განუცხადეს ქართულის სიმღერების აღსადგენად უსასყიდლო შრომისათვის. ჭეშმარიტად საგულისხმიერო, დიდად საქები და დასაფასებელია შრომა და თავ-გაწირვა ბ-ნ რატილისა! სრულებით უცხო კაცს, რომელსაც გვარ-ტომობით არავითარიმე კავშირი არა აქვს ჩვენ ერთან, მხოლოდ გული თუ გვაერთებს ჩვენ იმასთან და იმას ჩვენთან,—დიაღ, სრულებით უცხო კაცს კარი გაუღია თავის სახლისა და უსასყიდლოდ ასწავლის და სწვრთნის ყველას, ვინც-კი იმასთან მიდის. ეს დამსახურებული არტისტი და პატიოსანი მოღვაწე დადის სოფლით-სოფლად, ქალაქით-ქალაქად, აგროვებს ძველს სიმღერებს, აწყობს ნოტებად და მერე ასწავლის ქართველ ახალგაზდობას. ამას არა სჯერდება, შესწავლის შემდეგ დასდევს ხოროს თან ისევ სოფლით-სოფლად, ქალაქით-ქალაქად და ჰფენს ხალხში სიმღერებს, შეგროვილს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში. განა ამისთანა უანგარო კაცს, კაცს, რომელიც მხოლოდ ხელთ-მძღვანელობს იმ აზრით, რომ ქვეყანას სიკეთე მოუტანოს, განა ამისთანა კაცსა, ვიმეორებ, ფეხი უნდა გადუდოს ვინმე, ხელი უნდა შეუშალოს? მაგრამ ბ-ნს რატილს ისე ჰყვარებია და უყვარს თავისი საქმე, ისეთის ენერგიითა და უმაღლესის სურვილებით აღჭურვილა რომ მას ხელს ვერვინ შეუშლის. ამასთან ის უფრო გვასიამოვნებს და გვატკბობს, რომ ხორისტებიც ენერგიითა და გულით მოჰკიდებიან საქმეს, არა ჰზოგვენ თავის ჯიბეს, ოღონდ „ამხანაგობა“ მკვიდრს ნიადაგზედ დააყენონ. გაუმარჯოთ და ღმერთმა ხელი მოუმართოთ!!

თუ ამ ჟამად გორელები ვერ დავუხვდით კარგად, შემდეგში ვეცდებით ეს ცოდვა შევისყიდოთ. ეხლაც, როგორც ზემოდა ვსთქვით, ქართველი საზოგადოება თითქმის სულ დაესწრო.

გორიდამ ხორო გაემგზავრა იმერეთისაკენ.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

მარტო რუსეთი არ არის ამ ჟამად იმის თავის ტკივილში, რომ მოზარდს თაობას გაუადვილოს გიმნაზიებში განათლების მიღება და გაუმარტივოს წესი სწავლისა. მთელი ევროპა ეხლა იმ აზრისაა, რომ ეხლანდელი წესი სწავლისა ჰღალავს, ყმაწვილს ჰქანცავს და ამ ბოროტს ბოლო უნდა მოეღოს როგორმეო. აი ამას წინად კიდევ საფრანგეთის მთავრობას განსაკუთრებული კომისია დაუნიშნავს ლიცეის წეს-წყობილების გასარჩევად და განსახილველად ჟულ სიმონის თავმჯდომარეობით. ჟურნალ „Русская Мысль“-ის პარიჟელ კორრესპონდენტის სიტყვით, აი რა აზრს დასდგომია ეს კომისია:

პარიჟს გარდა ლიცეები ნამდვილი კატორგაა. ამ სასწავლებლების სადგომი ადამიანს ხოსელსა და ყაზარმას მოაგონებს. ყმაწვილები ციხსა და ბნელს ქოხმახებში იძინებენ, სადილობენ და გაკვეთილებს ამზადებენ. მოწაფეებს თავს ადგანან აღმზრდელები, რომელნიც ამ საქმისთვის მოუმზადებელნი და ცხოვრებით გულახეთქილნი არიან და თავის უბედურების ჯავრს ბავშვებზე ჰყრილობენ. ყმაწვილებს მეტად ანტიჰიგიენურად ჰხედიან: სეირნობას უღკრძალავენ, ცალკე ოდახში ამწყვდევენ, კარგა ხნობით დაჩოქილი ჰყავთ ხოლმე. ამას გარდა მოწაფეებს საზრდოც ცუდი ეძლევათ. უმეტესად საჭმლად მცენარეულს ჰხმარობენ და ხორცსა და რძეს იშვიათად აძლევენ. ყველა ეს მიზეზი, კომისიის აზრით, აშკარად გვიხსნის და გვიმარტავს იმ გარემოებას, რომ მოსწავლე ახალგაზდობა თანდათან ჰქუცმაცდება და წვრილმანდება.

კომისიამ დასასრულ დაუსკვნია:

საუკეთესო წინდი რიგიანის ზნეობრივის განათლებისა ფიზიკურად ჯან-საღად აღზრდაა ყმაწვილისა. სასწავლებელში კარგი წესები უნდა ჰხუფვდეს, კეთილზნეობიანნი უნდა იყვნენ მოწაფენი და ამასვე უნდა ეკავშირებოდეს ჰიგიენა, საგიმნასტიკო ვარჯიში და ყმაწვილების კარგს გუნებაზედ ყოფნა. სასწავლებლის დირექტორი პირადად უნდა იცნობდეს ყველა თავისს შეგირდს, ისე, როგორც მშობელი მამა თავისს შვილებს, თითონ იყოს იმათს ზრუნვაში და არა სხვას მიანდობდეს. დასვენის დროს ყმაწვილს არასოდეს არ უნდა მოუსპონ თავისუფლება და სეირნობა არ უნდა აღუკრძალონ, რადგან, პირ-იქით, მასწავლებლებმა ბავშვებს ფიზიკური ვარჯიში და განვითარება არ უნდა მოაკლონ. მოწაფეების გასართობად კომისია ურჩევს სასწავლებლის მმართველობას, რომ ხშირად ჰმართეთ ხოლმე საგიმნასტიკო დღესასწაულები და ამ დღესასწაულზე მიიწვიეთ როგორც ბავშვების მშობლები, აგრეთვე გარეშე ხალხიც. წელიწადში რამდენჯერმე სასწავლებელში შეიძლება გაიმართოს დრამატიულ ნაწარმოებთა წარმოდგენა, რომელშიაც მოქმედ პირთა როლებს თვით მოწაფენი შეასრულებენო.

ერთის სიტყვით, კომისია ურჩევს მასწავლებლებს, რომ ყოველ მხრივ გაართეთ, ავარჯიშეთ, განავითარეთ მოსწავლენი, თავისუფლებას ნუ მოაკლებთ, სულით ნუ დასჩაგრავთ, ნუ მოაწყენთ და თავისუფალს ზრდას ყმაწვილისას ხელს ნუ შეუშლით მეტის-მეტ სასტიკად მოპყრობის წყალობითაო.

**

იგივე კორრესპონდენტი ტიერიეს ამბავსაც მოგვითხრობს თავისს წერილში, იმ ტიერიესას, რომელიც ეხლა-ხან იქმნა პარიჟში დეპუტატად ამორჩეული და რომელსაც პალატაში სიარულის დროს ფრაკზედ მუშის ხალათი აცვია. კორრესპონდენტს უკითხავს, რა მიზეზია, რომ მაგ აჩირებულის ტანისამოსით დადიხართ პალატაშიო. ბ-ნ ტიერიეს უპასუხნია:

— ჩემს ამომრჩევლებს დავპირდი, რომ დეპუტატად ამორჩევის შემდეგაც ისევ უბრალო მუშა-კაცსავით ვიცხოვრებ, როგორც აქამდე ვცხოვრობდი, პარლამენტში წევრად ამორჩევამდე-მეთქი.

— კარგი, მაგრამ განა მუშა კაცი-კი არასოდეს იცვამს სერთუკს?

— იცვამს, მაგრამ მხოლოდ კვირაობით, ისიც იმ შემთხვევაში, თუ სტუმრად წავიდა სადმე... მუშაობით-კი ყოველთვის ხალათითა ჰმუშაობს. მეც პალატაში უნდა ვიმუშაო, პალატაა ეხლა ჩემი სახელოსნო და ამიტომ ხალათს ვერ მოვიშორებ.

ეს მსჯელობა, ვაღიარებ, ლოგიკას მოკლებულია. სახელოსნოში სერთუკს წაიხდენს, გაჭუჭყიანებს მუშა კაცი და პალატაში-კი ამის შიში არ უნდა ჰქონდეს. ასეა, თუ ისე, ის-კი აშკარაა, რომ ტიერიეს მსჯელობა ძალიან მოსწონთ იმის ამომრჩევლებს.

პირადად გამოვკითხე მუშებს, რომ თქვენის ახალ დეპუტატის ხალათის შესახებ რა აზრისანი ხართ-მეთქი. ზოგიერთნი ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ტიერიეს ჩვენ მიერ მინდობილ საქმის შესრულება უხალათოდაც შეეძლიანო.

რეკლამის მოყვარულთ უკვე უსარგებლნიათ ტიერიეს ხალათით. კორრესპონდენტის სიტყვით, ეხლა პარიჟის თითქმის ყველა ქუჩაზე შეჰხვდებით შემდეგს განცხადებას: „აღარა სჩანს ხალათი პალატაში! აღარ ატარებს ის ხალათს! რადა, რა მიზეზით? იმიტომ და იმ მიზეზით, რომ ტყავეხაყელოიანი პალტო იშოვა ნისიად სულ 29 ფრანკად!“ რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვებს მოსდევს ადრესი იმ მაღაზიისა, სადაც ტიერიეს ვითომდა უნისიავნია პალტო.

# უცხოეთი

საფრანგეთი. ინფლუენცია ძლიერ არის გავრცელებული პარიჟში. თითქმის მესამედი ამოდენა ქალაქის მცხოვრებლებისა ავად გახდა თურმე ამ ახალის სენით. ზვერჯელ წარმოდგენები გადაიდო; მაღაზიებიც ეღარ ვაჭრობენ, რადგან ვაჭარიცა და მუშტარიც

---

ბოდათ თვალებში, რომ თქვენა ხართ მეგრელნი, იმერელნი, კახელნი, ქართლელნი, ქიზიყელნი და სხვანი, ხოლო ქართველნი-კი არაო.

ამის კვალობაზე რომ იაროს ახალმა წელმაც, ბოლოს იქამდის მივალთ, რომ ვეღარც კახელსა და იმერელს ვიპოვნით ჩვენს შორის. მე მეტყვიან— შენ ქიზიყელი-კი არა ხარ, მაღაროს სოფლიდამა ჰბრძანდებიო. კიკოლია იმერელი-კი არ არის, სოფელ მუხაყრუის მკვიდრი გახლავთო. ივლის, ივლის ასეთი დაქუცმაცება და ყველა ჩვენგანი შეიქმნება მხოლოდ რომლისამე სოფლის ნაციისა. საქართველოში ოთხი ათასი სოფელია გადაჭიმული და გამოვა, რომ ეს ამოდენა სოფლები ერთს ერს-კი არ ეკუთვნის, არამედ ოთხი ათას სხვა-და-სხვა ერს. ადგება რომელიმე მეცნიერი, თუნდაც განსვენებულ სემენოვისთანა, და აუწყებს ქვეყანას სხვა-და-სხვა თვისებას მუხაყრუის ნაციისას, ცხრამუხის ნაციისას, ჰოტორის ნაციისას, ბოდბის ნაციისას, ოზაანის ნაციისას და სხვანი. ბოლოს და ბოლოს ასეთი დაქუცმაცებული ნაცია უფრო დაწვრილმანდება, სოფლიდამ უბანზე გადავა, უბნიდამ კომლზე, კომლიდამ თითოეულს ადამიანზე, და აბა მაშინა ჰნახეთ, როგორ აირევა მონასტერი... გზა დაბნეულნი ცხოვარნი ხან აქეთა კედელს წააწყდებიან, ხან იქითას, ვიდრე სულ ერთიან კლდეში არ გადიჩეხებიან...

აი ეს ცოდვა დაუტოვა 1889 წელმა ახალს წელს სამკვიდროდ, ეს შაშარი გვკრა გულში და მგონი ჯერჯერობით ჰკიდაც გვეყოს და ლხინადაც. ჯერ ხომ სამეგრელოში გაისმის დღეს „მალაზო ფუფალაო“, ვნახოთ მერმის რაღას გავიგონებთ...

**

აკი ვამბობ, რომელსამე დიდ ხალხს ამისთანა განაწილება სიცილად არ ეყოფა. რამდენიც უნდა ილაპარაკონ, მაგალითად, იმაზედ, რომ მოსკოვის ხალხი სხვა ერს ეკუთვნის, ვორონეჟისა — სხვას, იაროსლავისა — კიდევ სხვას, რუსეთის ხალხი მაგაზედ წარბსაც არ შეიხრის, რადგან იცის, რომ იგი ძლიერი ერია და მთელს ამოდენა ხალხს თავი თავსა აქვს მოყრილი და, ერთის კავშირით გადაბმული, მიისწრაფვება განვითარებისაკენ. აგრეთვე მოიქცევა გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, ჩინელი და სხვანი დიდრონი ერნი. პატარა ხალხისთვისკი სწორეთ სიკვდილია ამ გვარი „სამეცნიერო“ ყბედობა, მეტადრე თუ იმ ხალხში, როგორც დღეს ჩვენში, ჩამქრალია საზოგადო მოსწრაფებანი, საზოგადოებრივი აზრი, ერთმანეთის დახმარება და ამხანაგური გატანა საქვეყნო საქმისა, თუ მოდუნებულია ადამიანური და ეროვნული კავშირი ურთიერთ შორის, თუ ყოველი წარმომადგენელი ამ ხალხისა, მოწყვეტილი დანარჩენთაგან, მიმჯდარა თავის ბუხართან და მხოლოდ ის-ღა აქვს საფიქრებელი, რომ შეუმჩნეველად განვლოს გზა ცხოვრებისა და აიშოროს თავიდამ სიცივე და შიმშილი, მეტი არაფერი.

და რომ ჩვენ სწორედ ამ წერტილამდე მივაღწიეთ, ეგ სხვათა შორის იქიდამაცა სჩანს, რომ უკვე საკმაოდ მოიპოვებიან ჩვენივე თანამემამულენი, რომელნიც მზად არიან უარ ჰყონ თავიანთი ვინაობა. მაგას კიდევ ჯანი გაჰვარდეს, უარ ჰყონ თავიანთი თავი, ჯანდაბამდის გზა-ჰქონიათ ხსნილი. სამწუხარო ის არის, რომ იგინი უარსა ჰყოფენ თვით ჩვენს საუნჯეს, ჩვენს სიამაყეს, ჩვენს დიდებას, უარსა ჰყოფენ იმას, რაც შეადგენს სულიერსა და ზნეობრივს არსებას მთელის ჩვენის ერისას, უარსა ჰყოფენ თვით ქართველების ენის ჩამდგმელს რუსთაველს, რომლის ღვაწლი, ადრე იქნება თუ გვიან, უნდა შეიქმნეს საუნჯე საკაცობრიო ხელოვნებისა.

ჩვენის თავის გაბიაბრუებამ ჩვენისავე ენით წელს ამ გასაშტერებელს წერტილამდე მიაღწია. ქართველთა წარმომადგენლებს სრულებით დაჰკარგვიათ თავიანთი იმედი და, რასაც-კი ქართული იერი აძევს, რასაც-კი ქართველობა ეტყობა, გინდაც იგი იყოს ბეჭედ-დაკრული გენიოსის ხელით, სასაცილო მასალად გაუხდიათ —არ გვინდა რუსთაველიო, წავიდეს, მოგვშორდეს თავიდამაო! ჩვენ ერთი ათად გვირჩევნია ფირდუსი, დიდებული პოეტი ფირდუსი, ემანსიპატორი ნიზამიო, მაშადიო, ისკანდერბეგიო, მამედხან-ბეგ-აჯი-აღა-მესტაფა-ოღლიო!.. აი, ვის უნდა ჩავკიდოთ ხელი, აი ვისგან უნდა ვისწავლოთ ჭკუაო!.. აქამდისაც მარტო სულელობით მოგვდიოდა, რომ რუსთაველსა ვკითხულობდითო. კმარა შვიდის საუკუნის სიბრმავე ჩვენიო, დროა თვალი გავახილოთ, დავინახოთ, რამოდენა ჩრდილი დაუყენებიათ აჯი-აღა-მუსტაფა-ოღლებს რუსთაველის გამხდარ პირი-სახისთვისო, ნუღარა ვდგევართ გაშტერებულნი, მუხლ მოდრეკილნი და ქედ-მოხრილნი წინაშე ვილაც რუსთაველისაო. მაგან რა უნდა გვიშველოსო. ეგ ჩვენ მხოლოდ უარესად დაგვღუპავსო. То-ли дѣло აჯი-აღა-მუსტაფა-ოღლებიო, ტოლიდელო პარსიზმიო, საბაიზმიო, სულელობიზმიო, უკუდობიზმიო, ბაქიაობიზმიო და სხვანი!..

კიდევ მრავალი სხვა დარდი და ვარამი დაუტოვა სამკვიდროდ ამ წელმა ახალს, ისეთი დარდი და ვარამი, რომელსაც სიზმარშიაც ძნელად წარმოიდგენდა ჩვენი თანამემამულე და იმედი უნდა გვქონდეს უარესისა, ვიდრე ჩვენი ერთობა, ჩვენი საზოგადოებური გრძნობანი იმ სიმაღლეზე არ დადგებიან, რომ ჩვენშიაც ფეხი აიდგას საზოგადო აზრმა, ერთობილმა სამსახურმა საქვეყნო საქმისამ. ვისურვოთ, რომ მერმისიდამ მაინც ჭკუაში ჩავცვივდეთ და ჩვენის თავის ზრუნვა აღარ იყოს ხამი ხილი, რომ სხვა წლებს მაინც გულადად დავხვდეთ ხოლმე...

სხი

ნახევრობით ავადმყოფობსო. პარიჟიდამ პროვინციასაც მოედო ეს სენი. ლიონსა, რუანსა, ბორდოსა, ნანტში და სხვა ქალაქებში საოცრად გავრცელდა და ბევრგან დიდი ზარალიც მოჰყვაო. მაგრამ მაინც ამ ავადმყოფობას არ დაუშლია საშობაო გასართობისა და დღესასწაულებისათვის. შობა დღეს ორი დიდი გასართობი გაუმართავთ პარიჟში ყმაწვილებისათვის. ერთი გასართობი თვით ელისეს სასახლეში ყოფილა გამართული პრეზიდენტის მეუღლის მიერ 400 პარიჟელ ყმაწვილისათვის, ხოლო მეორე—ელზას-ლორენის პატრიოტების საზოგადოებას ელზას-ლორენელ ბავშვებისათვის, რომელნიცკი პარიჟში სცხოვრობენ. ამ დღესასწაულზე შეკრებულან 8,000 პატარა ვაჟი და ქალი და ბევრი შესანიშნავი სახელმწიფო კაციც დასწრებია, სხვათა შორის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ფლოკეცა.

ინგლისი. ამ დეკემბერში შესრულდა გლადსტონი 80 წლისა. დაბადების დღე შესანიშნავს მოხუცს გოვარდენის სასახლეში გაუტარებია თავის მახლობელთა შორის. აუარებელი მისალოცავი წერილი, დეპეშა და საჩუქარი მისვლია ამ დღეს გლადსტონს. „Times“-ი ამბობს, რომ გლადსტონი შესანიშნავი მაგალითია ჯანისა და გონების ღონესი, რომელიც მან გამოიჩინა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე ისეთს ხანში, როცა უფროს-ერთი იმის არჩევანშიაც ვერ შესულა, როდის იმუშაოს და როდის დაისვენოსო. კაცობრიობას სხვა მაგალითი არ ახსოვს, რომ 80 წლის კაცს შეეძლოს რამდენიმე საათი ილაპარაკოს დალაგებით და საპოლიტიკო ქადაგებას თავს არ ანებებდეს პარლამენტში და პარლამენტ გარედაცაო. თუ ყოველ ხანში გასაკვირველია დალაგებულის ლაპარაკის უნარი, მაშ უნდა ვსთქვათ, რომ გლადსტონს ამ მხრით ტოლი და სწორი არა ჰყავსო.

# დეპეშა

26 დეკემბერი

მიღებულ იქმნა 27 დეკემბერს, საღამოს 10½ საათზედ.

პეტერბურგი. დღეს დაიწყო დიდის გამოჩინებით კრებანი რუსეთის მოღვაწეთა სატეხნიკო და საპროფესიო სწავლა-განათლებისათა. პარაკლისს შემდეგ, საერო განათლების მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა და განმარტა, რომ დღეს პირველად გამართულს კრებას რუსეთის სატეხნიკო მოღვაწეთას აზრად აქვს გაიცნოს, რა ყოფაშია რუსეთში სატეხნიკო სწავლა-განათლება რომელიც ჯერ მხოლოდ ეხლა იდგამს ფეხს, მაგრამ რომლის საჭიროებასაც საზოგადოება უკვე ჰგრძნობს. მთავრობა წინ მიეგება საზოგადოების საჭიროებას: ჯერ ისევ 1878 წელს უმაღლესად ებრძანა ფინანსთა მინისტრს შეადგინე წესდება სატეხნიკო სასწავლებლისაო, ხოლო 1881 წელს უმაღლესად იქმნა ნაბრძანები, რომ სატეხნიკო სასწავლებელთა საქმე გარდაეცეს საერო განათლების სამინისტროსაო. სამინისტროს საბჭოს წევრად ნამყოფმა, დღევანდელმა ფინანსთა მინისტრმა, თავისის ხელით დასწერა წესდება სატეხნიკო სასწავლებლებისა: უმაღლესებისა, შუათანებისა, პირველ-დასაწყისებისა და სახელოსნოებისა. დაარსება სატეხნიკო სასწავლებლებისა თანაგრძნობით მიიღეს ქალაქებმა, ერობათა, კერძო კაცთა. შემოწირულებანი გამრავლდა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უფრო იმატებს. მინისტრმა მიაქცია ყურადღება კრებისა იმ გარემოებას, რომ უმაღლესი მფარველობა აქვს აღთქმული სატეხნიკო სწავლა-განათლების საქმესაო და სთქვა, რომ დარწმუნებული ვარ წევრნი კრებისა თავის საქმეს ისე მოექცევიან, როგორც შეჰშვენის მეცნიერებისა, პრაქტიკისა და გარჯის კაცებსაო, ისეთ კაცებს, რომელნიც ჰგრძნობენ, რა დიდის მნიშვნელობის თანამდებობა აქვთ ნაკისრიო. მინისტრმა გამოაცხადა, კრება დაწყებულიაო. სიტყვას მოჰყვა ტაშის კვრა. მინისტრის შემდეგ ილაპარაკა თავმჯდომარემ, გენერალ-ადიუტანტმა ისაკოვმა.

ბერლინი. დღეს, 4½ საათზედ გარდაიცვალა ქვრივი იმპერატრიცა ავგუსტა.

ლონდონი. ლისაბონში გუშინ იქმნა მიღებული შემდეგი ნოტა მარკიზ სალისბერისა. ნოტაში მუქარა სწერია, რომ დაუყოვნებლივ გავწყვეტთ სადიპლომატო კავშირსაო; კიდევ უფრო უარესს ღონისძიებასაც მივიღებთ, თუ პორტუგალია, ყოველის უარის-უთქმელად არ აღგვითქვამს ჯეროვანი პასუხის-გება მოგვცეს სერპა-პინტოს მოქმედებათა გამო აფრიკაშიო. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ მიეწეროს პასუხი ნოტასი სალისბერსაო.

ბერლინი. „National Zeitung-ს“ მოსწონს, რომ აღკრძალულ იქმნა განაღდება ბერლინის ბირჟაზე ბოლგარიის სესხისა და ამბობს, რომ დროა შეეუფეროთ ბოლგარიის წესები ბერლინის ხელ-შეკრულობასაო.

ლონდონი. სალისბერი თხოულობს, რომ პორტუგალიამ ისეთი ინსტრუქცია შემოიღოს, რომელმაც შემდეგისათვის აცილებულ ჰყოს უსიამოვნო ამბები აფრიკაშიო. პორტუგალია თანხმაა ამისი, მხოლოდ იმ პირობით-კი, რომ ასეთივე ინსტრუქცია ინგლისმაც შემოიღოსო.

28 დეკემბერი

პეტერბურგი. დათხოვნილ იქმნენ, მათისავე თხოვნისამებრ, სამსახურისაგან: დირექტორი უმთავრეს საასტრონომიო ობსერვატორიისა სტრუვე და პენზენის გუბერნატორი ვოლკოვი.

ფინანსთა მინისტრის საბჭომ აუკრძალა საბანკო კანტორას „კლიმისას“ პეტერბურგში ჰყიდოს რაიმე სახით შინაგანი მოსაგებიანი ბილეთები ნაწილ-ნაწილ ფულის გამორთმევითა.

ბელგრადი. ჰხერხდება 27 მილიონ ფრანკის სესხად შოვნა საფრანგეთის ბანკისაგან «გოსკიე» სახარჯოთ რკინის გზების საკეთებლად.

პეტერბურგი. გვამი ბოტკინისა უკვე მოასვენეს ბერლინს და იმედია, რომ შაბათს პეტერბურგში მოასვენებენ.

გაზეთი „День“ იუწყება, რომ განკარგულებაა მომხდარი, რომ კლასსიკურ გიმნაზიებში მოსწავლეებს ჩამოერთოთ უფლება რეალურ სასწავლებელში გადასვლისა უეგზემენოდ.

რიო-დე-ჟანეირიო. გამოვიდა დეკრეტი, რომელიც აცხადებს ეკკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთთან განცალკევებას, და თავისუფლებას სინიდისას.

პეტერბურგის ბირჟა, 27 დეკემბ.

| | | | |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 40 | „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 147¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 11 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 254½ |
| —მეორისა . . . . . | 229 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3½
„ 2 „ 3 „
თონის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 4 „
„ „ 3 „ 3½
ჯვარის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი. . . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 “
ღორის ხორცი . . . . . . „ “
„ 2 „ „ „ „


# განცხადებანი

გამოვიდა

რუსულად შედგენილი

ქართული სახალხო არაკები და სათამაშონი

და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში და განსაკუთრებით სასტუმრო „პურლეინოში“.

ფასი 60 კაპ.

(3—2)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნია,ი . . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . . | „ | 15 |

ამ დღეებში გამოვიდა და ისყიდება სარქისოვის მაღაზიაში, წერა-კითხვის და სხვა წიგნის მაღაზიებში

ვრცელი, შევსებული

# საქართველოს კალენდარი

1890 წლისა

გამოცემული

ვალერიან გუნიას მიერ

გრ. ყიფშიძის რედაქტორობით.

საქართველოს კალენდარში სულ 12 განყოფილებაა

პირველ განყოფილებაში წმინდა საკალენდარო ცნობანია მოთავსებული; მეორეში—საზოგადო მიმოხილვაა კავკასიისა და საქართველოსი და მოხსენებულია დაწვრილებით სივრცე მიწა-წყლისა, რაოდენობა მცხოვრებთა, საადმინისტრაციო დანაწილება, ვაჭრობა და აღებ-მიცემა, სწავლა-განათლება, წყარონი საეკონომიო ყოფა-ცხოვრებისა და სხვა; მესამეში—საადმინისტრაციო მართვა-გამგეობის ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ა. ფრონელისა კავკასიის საადმინისტრაციო წეს-წყობილების შესახებ; მეოთხეში—სამოსამართლო დაწესებულებანია აწერილი და წინ უძღვის ნ. უ—ის წერილი სამართალის შესახებ ჩვენში; ამავე განყოფილებაშია ნიმუშები ზოგიერთის საჭირო ქაღალდების შედგენისა და სხვა; მეხუთეში—აწერილია ფოსტა-ტელეგრაფისა და გზების წესები კავკასიაში და წინ უძღვის წერილი გ-გ-სი გზების ვითარების თაობაზედ; მეექვსეში—საქართველოს ეკკლესია და სასულიერო მთავრობაა აწერილი და წინ უძღვის წერილი ნ. მნათობიძისა საქართველოს საეკკლესიო იერარქიის შესახებ ძველად; მეშვიდეში—საერო და სასულიერო სწავლა-განათლების ვითარებაა აწერილი და წინ უძღვის ა. ფრონელის წერილი სწავლა-განათლების შესახებ საქართველოში. აქვეა ცალკე ნაწილად: სამეცნიერო, საქველ-მოქმედო, სამადლო და სხვა საზოგადოებანი ჩვენში; მერვეში—რუსეთის იმპერია და ქვეყნიერობაა მოკლედ აღწერილი; მეცხრეში—საქიმო, საოჯახო, სამეურნეო და სხვა გამოსადეგი ცნობანია მოთავსებული და წინ უძღვის ე—ის წერილი: თავის მოვლა-შენახვის გამო; მეათეში—საკრედიტო დაწესებულებანი, ვაჭრობა და ყოველ-გვარი ანგარიშის გარემოებაა; წინ უძღვის წერილი გ. მაიაშვილისა: მოკლე მიმოხილვა წარმოებააღებ-მიცემისა ჩვენში ძველად და ახლა; მეთერთმეტე სალიტერატურო განყოფილებაა და, ზაქულის საკუთარ ლექსებსა და თარგმნილებს გარდა, შეიცავს შემდეგს წერილებს: ლეინია გადაიჩეხა, მოთხრობა ეკ. გაბაშვილისა; ფერია, ქართული ლეგენდა კსომისა; თვით-მმართველობა გურგენისა; ამბავი სიყვარულისა, მოთხრობა მატილდა სერაოსი, სიტყვა ვიქტორ ჰიუგოსი, ბიოგრაფიები კავკასიის მოღვაწეთა; ამიცან და რა არი, დ. სოსლანისა, ჩვენის ცხოვრების გზა-კვალი, გრ. ყ—ძისა. მეთორმეტე განყოფილებაში მოთავსებულია ადრესები, წინასწარმეტყველებანი 1890 წლისა და განცხადებანი,

საქართველოს კალენდარში 550 გვერდია in 16°

ფასი უყდოდ ათი შაური, მოეარაყებულის ყდით ერთი მანათი.

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

# სათამაშოების გამოფენა

იქნება

საცენტრალო გალანტერეის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად ისყიდება

ყოველ გვარი ხაგალანტერეო და საოჯახო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ყერხე, ფუფეიკა, პერანგის ამხანაგი, ლამპა, ჭურჭლეული, ალბომი და მრავალი სხვა (10—8)

სამეურნეო გაზეთი

„მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სივრცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ.50კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.


Доз. ценз. Тифлисъ 28-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.